#335 2015 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი

დ. ლეჟავასა და ი. ქავთარაძისათვის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (სპეციალური ოპერაციები) (შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2)" სასესხო ხელშეკრულების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს **დავით ლეჟავასა** და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისის მოადგილეს **ირმა ქავთარაძეს** მიენიჭოთ „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (სპეციალური ოპერაციები) (შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2)" სასესხო ხელშეკრულების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**